11/10/2024

საპატრიარქოში ორდღიანი სამეცნიერო კონფერენცია ‘აფხაზეთი – ისტორია და თანამედროვეობა’ გაიხსნა

ამა წლის 8 ოქტომბერს, საქართველოს საპატრიარქოში გაიხსნა ორდღიანი სამეცნიერო კონფერენცია „აფხაზეთი – ისტორია და თანამედროვეობა“, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ჩატარდა.

სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) რომელმაც ღონისძიების მონაწილეებს მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევა გადასცა და კონფერენციის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი, დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები.

sazu.ge